კომისიამ იმსჯელა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცეს თანხმობა, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957), როინი ლუტიძის (პ/ნ 01017023780), გიორგი პირველის (პ/ნ 01012029501), იოსებ ჯანიაშვილის (პ/ნ 01002003714) და ვიქტორ ორდინიძის (პ/ნ 01033002445) მიმართ, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ. ბაქრაძის ქ. N16 (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქუჩის V შესახვევი N1, ვასო გოძიაშვილის ქუჩა N 59 (ს/კ N01.10.10.015.051) შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება (კ-2) 2.5-დან 3.9-მდე; ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება მოხდეს საერთოლიანობის გაზრდით, ჯამურად არაუმეტეს 11 საართულის ფარგლებში; გ) როინი ლუტიძემ (პ/ნ 01017023780), გიორგი პირველმა (პ/ნ 01012029501), იოსებ ჯანიაშვილმა (პ/ნ 01002003714) და ვიქტორ ორდინიძემ (პ/ნ 01033002445) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის (738 905 - შვიდასოცდათვრამეტი ათას ცხრასასხუთი ლარი) გადარიცხვა განახორციელონ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი“ (ს/კ: 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად; დ) როინი ლუტიძემ (პ/ნ 01017023780), გიორგი პირველმა (პ/ნ 01012029501), იოსებ ჯანიაშვილმა (პ/ნ 01002003714) და ვიქტორ ორდინიძემ (პ/ნ 01033002445) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელონ მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად.

*საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება.*

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**12. ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ. ბაქრაძის ქ. N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ**

N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ახალი ვარსკვლავი 2015“-ის (ს/ნ 406136140) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N1ბ/გიგო ზაზიაშვილის ქ. N2 (ს/კ N01.16.02.040.002) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს N12-0321028119-03 28.01.2021)

კომისიამ იმსჯელა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცეს თანხმობა, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ახალი ვარსკვლავი 2015“-ის (ს/ნ 406136140) მიმართ, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N1ბ/გიგო ზაზიაშვილის ქ. N2 (ს/კ N01.16.02.040.002) შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება (კ-2) 4,6-დან 6,7-მდე; ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება მოხდეს სართულიანობის გაზრდით, ჯამურად, არაუმეტეს 15 საცხოვრებელი სართულის ფარგლებში; გ) შპს „ახალი ვარსკვლავი 2015“-მა (ს/ნ 406136140) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის (610,077- ექვსასათი ათას სამოცდაჩვიდმეტი ლარი) გადარიცხვა განახორციელოს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი“ (ს/კ: 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად; დ) შპს „ახალი ვარსკვლავი 2015“-მა (ს/ნ 406136140) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად; ე) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

*საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება.*

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**13. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032102254-03 22.01.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტინემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინამდებარე პროექტით ცვლილება შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების წესებში, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: წინამდებარე განაშენიანების რეგულირების წესების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. იმავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი, საერთო საქალაქო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება. არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია ნორმატიული აქტით განსაზღვრულ იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ტროტუარებისა და გზის სიგანის რეგლამენტები. აღნიშნული უზრუნველყოფს განაშენიანების სწორ დაგეგმარებას და როგორც ქვეითის, ისე სატრანსპორტო საშუალებათა გადაადგილებისთვის მორგებული გარემოს შექმნას. წარმოდგენილი ცვლილება ასევე ითვალისწინებს საგამონაკლისო შემთხვევებსაც: იმ პირობებში, როდესაც უკვე გაცემულია მშენებლობის ნებართვა/ წერილობითი დასტური წარმოდგენილი პარამეტრების დაუცველად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება, რომ აღნიშნული რეგლამენტები განსაზღვროს პროპორციულად. მაგალითისთვის, თუკი, გზის ერთ მხარეს გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის და ტროტუარისთვის დარჩენილია 1 მეტრი, ხოლო სამანქანო გზისთვის 2.75 მეტრი, გზის მეორე მხარეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტირებისას პროპორციულად განსაზღვრულ იქნება ტროტუარის სიგანე 1.5 მ., სამანქანო გზა კი - 2.75 მ. ზემო აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და

განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესების მე-3 მუხლში და პროექტირებისას გასათვალისწინებელი ხდება შემდეგი მოთხოვნები: „ა) ინდივიდუალური განაშენიანების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული ტროტუარების სიგანე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1.5 მეტრს, ამასთან, გზის სიგანე ორმხრივი მოძრაობის შემთხვევაში არანაკლებ 5.5 მეტრს, ცალმხრივი მოძრაობის შემთხვევაში კი – 3.5 მეტრს ბ) მრავალფუნქციური კომპლექსის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი ობიექტის განთავსებისას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული ტროტუარების სიგანე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2.5 მეტრს, ამასთან, ორმხრივი მოძრაობის შემთხვევაში გზის სიგანე არანაკლებ 6.0 მეტრს, ცალმხრივი მოძრაობის შემთხვევაში კი – 3.5 მეტრს, გარდა აღნიშნული ობიექტების ინდივიდუალურ განაშენიანებაში მშენებლობისა. გ) იმ ობიექტებზე, სადაც უკვე შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი ან/და გაცემულია მშენებლობის ნებართვა/წერილობითი დასტური ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პარამეტრების დაუცველად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია პროპორციულად განსაზღვროს გზის/ტროტუარის პარამეტრები ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მოცემული გზის/ ტროტუარის სიგანის გათვალისწინებით.“ ამასთან, იმავე მუხლის მე-3 პუნქტს ემატება 3.1 პუნქტი, რომლის თანახმადაც „ამ მუხლის მესამე პუნქტის მოქმედება, ტროტუარების და გზის სიგანის პარამეტრების ნაწილში, არ ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებზე და ასევე იმ ობიექტებზე, სადაც უკვე შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი ან/და გაცემულია მშენებლობის ნებართვა/წერილობითი დასტური.“

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

14. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032036622-03 31.12.2020 - 20.1657.2055, 12-032102253-03 22.01.2021 - 21.21.26; №11-032102561-03 25.01.2021 - 21.12.35; №12-032102562-03 25.01.2021 - 21.4.3; №16-032102560-03 25.01.2021 - 21.13.34; N12-03210283-03 28.01.2021 - 21.36.54; N12-0321027101-03 27.01.2021 - 21.41.60; **№12-032011861-03 27.04.2020 - „ბ“ პოზიცია - 20.438.559**)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032036622-03 31.12.2020 - 20.1657.2055, 12-032102253-03 22.01.2021 - 21.21.26; №11-032102561-03

25.01.2021 - 21.12.35; №12-032102562-03 25.01.2021 - 21.4.3; №16-032102560-03 25.01.2021 - 21.13.34; N12-03210283-03 28.01.2021 - 21.36.54; N12-0321027101-03 27.01.2021 - 21.41.60; **№12-032011861-03 27.04.2020** - „ბ“ პოზიცია - 20.438.559) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტოძემ და ნინო ბაგაშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 23 წინადადება, კერძოდ:

12-032036622-03 31.12.2020 - 20.1657.2055

ა) ქალაქ თბილისში, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.004.062) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.13.02.004.062 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და ხასიათდება მაღალი ინტენსივობის განაშენიანებით. შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების სტრუქტურის რღვევას. ამასთანავე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, N01.13.02.004.062 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ ხორციელდება სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.004.062) და მიმდებარე ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.474) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 29 დეკემბრის N01203642645 წერილის შესაბამისად, საპროექტო

ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მიმდებარედრეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან მისასვლელ გზას და ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტოფუნქცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.474) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.012.136, N01.20.01.154.003) მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ 1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 16 დეკემბრის N18-01203511578 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.012.136, N01.20.01.154.003) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

12-032102253-03 22.01.2021 - 21.21.26

ზემო აღნიშნული ცვლილების პროექტი წარდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე და მიეცა დადებითი შეფასება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N4-ის შესაბამისად, საქალაქო პარკი მტკვრის ჭალებში - ფონიჭალა, წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრულ ერთ-ერთ საპარკო არეალს, სადაც უმთავრესი მიზანია გაუნაშენიანებელი ტერიტორიების სარეკრეაციო სივრცეებად განვითარება და ერთიანი გამწვანებული უწყვეტი არელების შექმნა. ამ კუთხით ფონიჭალის მიმდებარედ მტკვრის ჭალებში დიდი სარეკრეაციო საზოგადოებრივი სივრცის დაგეგმარება არის აუცილებელი ნაბიჯი ამ ტერიტორიის შეუსაბამო განაშენიანებისგან დასაცავად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო გადაწყვეტებით გათვალისწინებულ იქნას მახლობლად არსებული კრწანისის ტყე- პარკი და შემდგომი გეგმარება წარიმართოს ერთიანი გააზრებით. კვლევის მიზანია შეფასდეს ტერიტორიის ლანდშაფტური და რეკრეაციული პოტენციალი გეგმარებითი პირობების განსაზღვრის მიზნით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 15 ოქტომბრის N04/1477 წერილის (რეგისტრაციის: N06-01202893209-01) შესაბამისად, ქალაქ თბილისის და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, რუსთავის გზატკეცილის ზონის ჩრდილოაღმოსავლეთით, მდინარე მტკვარზე იგეგმება (20.2მგვტ

სიმძლავრის) „თბილისი-3ესი“-ს ჰიდროელექტროსადგურის და 100 000 მ 3 მეტი მოცულობის წყალსაცავის მშენებლობა, რასთან დაკავშირებითაც მოთხოვნილ იქნა შესაბამისი ქალაქგეგმარებითი პოზიცია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 25 დეკემბრის N16-01203602299 წერილის შესაბამისად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის სგენერალური გეგმის მიხედვით, დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), სადაც დასაშვებ სახეობას წარმოადგენს, ჰიდროელექტროსადგურებისა და განახლებადი ენერჯისთვის განკუთვნილი შენობანაგებობები. ასევე, იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა, კერძოდ, საპარკო არეალი: საქალაქო პარკი მტკვრის ჭალებში - ფონიჭალა. აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურისა და წყალსაცავის განთავსების მიზნით კი საჭირო გახდა საპარკე არეალის კონტურის კორექტირება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 29 დეკემბრის N18- 01203642839 წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა ფონიჭალის საპარკო არეალის კორექტირებული საზღვრების ამსახველი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით, კორექტირებული კონტურის ასახვის მიზნით ცვლილება შედის „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა.ლ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში (დანართი №1.11).

11-032102561-03 25.01.2021 - 21.12.35

ქალაქ თბილისში, ვეკუას ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.03.011.002) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2- ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 16 იანვრის N012101611 წერილის მიხედვით ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობით აღნიშნულ მონაკვეთს არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 20 იანვრის N18-01210203819 წერილის შესაბამისად, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო



ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ვეკუას ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.03.011.002) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

12-032102562-03 25.01.2021 - 21.4.3

ა) ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.358; N01.72.14.009.328; N01.72.14.009.303; N01.72.14.009.312; N01.72.14.009.357; N01.72.14.009.311; N01.72.14.009.300) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქ. თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.162) მრავალფუნქციური კომპლექსის (კინოსტუდია, სავაჭრო-საგამოფენო პავილიონები, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 3 ივნისის N1143 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.358; N01.72.14.009.328; N01.72.14.009.303; N01.72.14.009.312; N01.72.14.009.357; N01.72.14.009.311; N01.72.14.009.300) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.361, ნაკვ. N07/048) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ. N07/048) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.007.361) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 დეკემბრის N410 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.361, ნაკვ. N07/048) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

16-032102560-03 25.01.2021 - 21.13.34

ა) ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, გოგილოს აბანოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.01.138.007) მოთხოვნილია

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გემის ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 30 დეკემბრის N0120365979 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 30 დეკემბრის N01203652772 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გემის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.17.01.138.007 საკადასტრო ერთეულის ძირითად ნაწილზე ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2). შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია განვითარებულია აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის დამახასიათებელი შენობა-ნაგებობებით. ამასთანავე, ფუნქციური ზონის ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება ძირითადი ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, გოგილოს აბანოს მიმდებარე დარსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.01.138.007) და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N40-40ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.08.001.600) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) კონფიგურაციის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 30 დეკემბრის N18-01203651473 წერილით შესაძლებლად მიიჩნევს გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის კონფიგურაციის ცვლილებას ფართობის უცვლელად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N40-40ა-ში მდებარე მიწის

ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.08.001.600) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) კონფიგურაციის ცვლილება ფართობის უცვლელად მისაღებად;

გ) ქალაქ თბილისში, მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.023.244) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და ურბანული გამწვანებული ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) გავრცელება. ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.11.17.023.244 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და ურბანული გამწვანებული ფენის მოხსნა. საპროექტო არეალი ფაქტობრივი მდგომარეობით არ წარმოადგენს გამწვანებულ სივრცეს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 18 იანვრის N18-012101592 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმააწარმოდგენილ ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.023.244) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და ურბანული გამწვანებული ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3), საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) გავრცელება მისაღებად;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, „ჩალიპირებში“ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.032.499; N01.72.14.032.498) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარებისა და ფუნქციური ზონის ფრაგმენტაციის პრევენციის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთების მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 24 დეკემბრის N18-0120359748 წერილის შესაბამისად თანახმაა, წარდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით

განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად, საპროექტი ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, „ჩალიპირებში“ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.032.499; N01.72.14.032.498) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, თელეთში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.03.16.086) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის N01203532395 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. საპროექტო ტერიტორია ფაქტობრივი მდგომარეობით არ წარმოადგენს გამწვანებულ სივრცეს და გამოიყენება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, თელეთში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.03.16.086) ნაწილზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.09.859) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელ ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2020 წლის 30 დეკემბრის N01203652759 წერილით თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1). საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ შეესაბამება ფაქტობრივად არსებულ მდგომარეობას და იჭრება N81.02.09.859 საკადასტრო ერთეულის საზღვრებში. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, მიზანშეწონილია N81.02.09.859 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული ფუნქციური ზონების კორექტირება მოხდეს ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის შესაბამისად და

განხორციელდეს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.09.859) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელ ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება;

ზ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მანგლისის ქუჩა N1გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.08.27.892) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3 ის (რზ 3) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონის (სზ) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, მიმდებარე განაშენიანების ერთიანი ხედვით განვითარების მიზნით, ხორციელდება N81.08.27.892 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 18 იანვრის N18-01210183697 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მანგლისის ქუჩა N1გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.08.27.892) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონის (სზ) გავრცელება მისაღება;

თ) ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.122) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 16 დეკემბრის N01203441900-67 წერილის მიხედვით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების (შემდგომში - „2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულება“) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, ეთხოვა აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული შესაბამისი

ღონისძიებების გატარება. ზემოთხსენებულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (ფართობი: 4057 კვ.მ.) განიხილება, როგორც კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა დასაკმაყოფილებლად განკუთვნილ განსაკარგ უძრავ ქონებად. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის/რუკის მიხედვით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.122) ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ 6) შესაბამისად მიმდებარე არეალი ხასიათდება მაღალი ინტენსივობის განაშენიანებით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, აგრეთვე წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.122) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია.

ი) ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე (ჩრდილოეთი ნაწილი) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.42.572) მოთხოვნილიასატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 16 დეკემბრის N18-01203511566წერილის მიხედვით, ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების თანახმად, ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის N0120357781 წერილის მიხედვით სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელებას მიზანშეწონილად მიიჩნევს 2014-2018 წლებში დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმიო გათვალისწინებული კონფიგურაციის შესაბამისად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე (ჩრდილოეთი ნაწილი) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.42.572) და

მიმდებარედსატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღება;

12-03210283-03 28.01.2021 - 21.36.54

ა) ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძე, N4/ პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ/ პალიასტომის ქ. N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტროკოდები: N01.16.03.058.061; N01.16.03.058.062) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, ო.კაპანაძის ქუჩა N4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.03.058.062; N01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N440 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ამასთანავე, ფუნქციური ზონის ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.16.03.058.062 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძე , N4 / პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ / პალიასტომის ქ. N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტროკოდები: N01.16.03.058.061; N01.16.03.058.062)ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და N01.16.03.058.062საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი:N01.12.12.001.418 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.12.12.001.396; N01.12.12.001.397; N01.12.12.001.109; N01.12.12.001.110; N01.12.12.001.188; N01.12.12.001.189; N01.12.12.001.190; N01.12.12.001.203; N01,12,12,001,202) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N385 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო

ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.418 და მიმდებარე ტერიტორია) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

12-0321027101-03 27.01.2021 - 21.41.60

ა) ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.08.17.134 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. საპროექტო არეალი, ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით, მოქცეულია პერიფერიულ ზონაში (პზ), რომელიც წარმოადგენს დაბალი ხარისხის ნიშნით ათვისებულ ტერიტორიას. ამასთან, მიმდებარე ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა-1 (ს-1), რომელიც წარმოადგენს საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიას. დომინირებულ სახეობას წარმოადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო/ მავნე საწარმოო პროცესები. შესაბამისად, მიზანშეწონილია, საპროექტო არეალს ფუნქციური ზონა განსაზღვროს განაშენიანების არსებული მდგომარეობის შესაბამისად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.08.17.134 და მიმდებარე ტერიტორია) ძირითადი რუკით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, წყნეთში, სტალინის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.087.019) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 25 იანვრის N18-01210252898 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). დედაქალაქის



მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაზე მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, N01.20.01.087.019 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყნეთში, სტალინის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.087.019) და მიმდებარედ ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.545) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სპორტული ობიექტის განთავსება. საპროექტო არეალის მიმდებარედ ასევე, განთავსებულია რამდენიმე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. შესაბამისად, ერთიანი ქალაქგეგმარებითი ხედვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ტერიტორიის ერთგვაროვანი განაშენიანება. ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით, მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.545) მოქცეულია პერიფერიულ ზონაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 25 იანვრის N01210252864 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.545) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, დაბა ზაჰესში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.12.01.523) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული ფუნქციური ზონის გავრცელება. ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N72.12.01.523 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო

ზონა 3-ის (რზ-3) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანებული ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 25 იანვრის N18-01210252605 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა მოთხოვნილ საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) და შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა ზაჰესში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.12.01.523) და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) და შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული ფუნქციური ზონის (სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.21.717) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა და მთლიანად ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება. გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) ვრცელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე. ამასთან, აღნიშნული საკადასტრო ერთეული ემიჯნება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) განვითარებულ ტერიტორიას. მიმდებარე ტერიტორია არის ნაწილობრივ განაშენიანებული, მათ შორის მომიჯნავედ არსებული რეგისტრაცია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 21 დეკემბრის N18-01203561242 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.21.717) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება მისაღებია

**12-032011861-03 27.04.2020 - „ბ“ პოზიცია - 20.438.559**

კომისიამ ხელახლა განიხილა 2020 წლის 15 მაისის კომისიის სხდომაზე (ოქმი №63) დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ფუნქციური ზონის ცვლილება: ბ) ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი/ ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.18.300) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 31 მარტის N01200911269 წერილის მიხედვით სამსახური

თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. საპროექტო მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) წარმოადგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს. მოთხოვნილი სახით ზონის ცვლილების შედეგად მოხდება ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის ასახვა რუკაზე. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი/ ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.18.300) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 23 წინადადება და „თბილისის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკაში შესატანი ცვლილებები გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.21.03.030, №01.19.36.014.452, №81.21.03.024, №01.19.36.014.449, №81.21.03.027, №81.21.03.025, №81.21.03.029, №01.19.36.014.453, №01.19.36.014.454, №01.19.36.014.455, №01.19.36.014.456, №01.19.36.014.457, №01.19.36.014.525, №01.19.36.014.526, №81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის №2151 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032102275-03 22.01.2021 - 21.19.28)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისში, ვარკეთილის-3, IV მ/რ-ის მიმდებარედ. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება კი

ეხება N21 და N22 სექტორებს (საკადასტრო კოდები: N01.19.37.012.019; N01.19.37.012.017; N01.19.37.012.021; N01.19.37.012.011; N01.19.37.012.009), რომელთა ჯამური ფართობია: 145 655 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ოლიმპიური სოფლის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N327 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის თანახმად, N21 და N22 სექტორებს მინიჭებული ჰქონდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), სადაც დაგეგმილი იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, მრავალფუნქციური კომპლექსის, სკოლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობა. N21 და N22 სექტორების ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: N21 საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) 45 034 კვ.მ. კ1 = 0,7 – 31 524 კვ.მ. კ2 = 2,5 – 112 500 კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე 45 მ. კ-3 = 0,1 – 4 503 კვ.მ. N22 საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) 100 621 კვ.მ. კ1 = 0,5 - 50 311 კვ.მ. კ2 = 1,5 – 150 932 კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე 20-30 მ. კ-3 = 0,1 10 062 კვ.მ. შემოთავაზებული წინადადებით ზუსტდება საპროექტო განაშენიანება და შენობათა განთავსება. დადგენილი პარამეტრები, სიმაღლე, ფუნქციური განაწილება რჩება უცვლელი, ემატება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო პარამეტრები: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) 45 034 კვ.მ. კ1 = 0,7 – 31 524 კვ.მ. კ2 = 2,5 – 112 500 კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე 45 მ. კ-3 = 0,2 – 9 006 კვ.მ. საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) 95 748 კვ.მ. კ1 = 0,5 - 47 885 კვ.მ. კ2 = 1,5 – 143 653 კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე 20-30 მ. კ-3 = 0,2 19 149 კვ.მ. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). 4 873 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა გულისხმობს დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტაში არსებითად განსხვავებული ქალაქმშენებლობითი მახასიათებლების (განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის ზრდა, შენობა-ნაგებობების ფუნქციისა და განთავსების ცვლილება, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ცვლილება და სხვა) ცვლილებას, განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება თბილისის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობით. საპროექტო ტერიტორია ვითარდება მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის, საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) მიხედვით, ასევე, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების უცვლელად. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა არ განხორციელებულა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN81.21.03.030, 01.19.36.014.452, 81.21.03.024, 01.19.36.014.449, 81.21.03.027, 81.21.03.025, 81.21.03.029, 01.19.36.014.453, 01.19.36.014.454, 01.19.36.014.455, 01.19.36.014.456, 01.19.36.014.457, 01.19.36.014.525, 01.19.36.014.526, 81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის N2151 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032102275-03 22.01.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01202313198-67 (N0120333137-67; N01203601504-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

16. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.21.03.030, №01.19.36.014.452, №81.21.03.024, №01.19.36.014.449, №81.21.03.027, №81.21.03.025, №81.21.03.029, №01.19.36.014.453, №01.19.36.014.454, №01.19.36.014.455, №01.19.36.014.456, №01.19.36.014.457, №01.19.36.014.525, №01.19.36.014.526, №81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის №2151 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032102277-03 22.01.2021 - 21.20.27)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება კი ეხება მხოლოდ N19 და N20 სექტორებს, რომელთა ჯამური ფართობია: 101 117 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ოლიმპიური სოფლის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N327 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი მოიცავდა 4 142 940 კვ.მ.-ს. N19 და N20 სექტორებს მინიჭებული ჰქონდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), სადაც დაგეგმილი იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, მრავალფუნქციური კომპლექსის, სკოლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობა. N19 და N20 სექტორების ფუნქციური ზონირება და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: N19 - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) N20 - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) N19 საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3): 51 352 კვ.მ. კ1 = 0,5 - 25 686 კვ.მ. კ2 = 1,5 - 77 028 კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე 20-30 მ. კ-3 = 0,1 - 5 135 კვ.მ. N20 საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1): 49 765 კვ.მ. კ1 = 0,7 - 34 836 კვ.მ. კ2 = 2,5 - 124 500 კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე 45 მ. კ-3 = 0,1 - 4 976 კვ.მ. შემოთავაზებული წინადადებით ზუსტდება საპროექტო განაშენიანება და შენობათა განთავსება. დადგენილი პარამეტრები, სიმაღლე, ფუნქციური განაწილება რჩება უცვლელი, ემატება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო პარამეტრები შემდეგია: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) 50 581 კვ.მ. კ1 = 0,5 - 25 300 კვ.მ. კ2 = 1,5 - 76 350 კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე 20-30 მ კ-3 = 0,2 - 10 116 კვ.მ. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) 49 765 კვ.მ. კ1 = 0,7 - 34 836 კვ.მ. კ2 = 2,5 - 124 500 კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე 45 მ. კ-3 = 0,1 - 4 976 კვ.მ. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) 771 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა გულისხმობს დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტაში არსებითად განსხვავებული ქალაქმშენებლობითი მახასიათებლების (განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის ზრდა, შენობა-ნაგებობების ფუნქციისა და განთავსების ცვლილება, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ცვლილება და სხვა) ცვლილებას, განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება თბილისის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობით. წარმოდგენილ შემთხვევაში, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა არ განხორციელებულა. წარმოდგენილი წინადადებით საპროექტო ტერიტორია ვითარდება მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის, საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) შესაბამისად, ასევე, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების უცვლელად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN81.21.03.030, 01.19.36.014.452, 81.21.03.024, 01.19.36.014.449, 81.21.03.027, 81.21.03.025, 81.21.03.029, 01.19.36.014.453, 01.19.36.014.454, 01.19.36.014.455, 01.19.36.014.456, 01.19.36.014.457, 01.19.36.014.525, 01.19.36.014.526, 81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის N2151 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032102277-03 22.01.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N0120240295-67 (N01203351179-67; N01203602381-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

17. „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე, სოხუმის, ევდოშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის დასაგეგმარებლად“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 9 დეკემბრის №01/1863 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032102276-03 22.01.2021 - 21.18.29)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისში, ა. წერეთლის გამზირზე, ვახუშტი ბაგრატიონის, სოხუმის და ევდოშვილის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.015.003, N01.13.06.015.005, N01.13.06.015.002, N01.13.06.015.014, N01.13.06.015.001, N01.13.06.015.010, N01.13.06.015.012, N01.13.06.015.004); ჯამური ფართობი 12 395 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ). „ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზირის NN35,37,39,41-ში, ვ.ბაგრატიონის NN52,54,56-ში, სოხუმის ქ. N4,6,6ა-ში, ევდოშვილის N25-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური - საზოგადოებრივი კომპლექსის

განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 მაისის N170 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიას მინიჭებული ჰქონდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივი საქმიანი ზონა 1 (სსზ-2). ხოლო დაგეგმილი იყო 3, 9, 11-12, 15-16, 24-28 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებლის, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონირება და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები შემდეგია: საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) 6 925 კვ.მ. კ1 = 0,5 – 3 508 კვ.მ. კ2 = 5,8 – 40 320 კვ.მ. კ-3 = 0,1 – 692 კვ.მ. საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) 5 470 კვ.მ. კ1 = 0,5 - 2 998 კვ.მ. კ2 = 5,6 – 30 900 კვ.მ. კ-3 = 0,1 – 547 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება მოიაზრებს სექტორების/მიწის ნაკვეთების საზღვრების კონფიგურაციის მცირედ ცვლილებას (ფართის უცვლელად). დაგეგმილი განაშენიანება, დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კი რჩება უცვლელი. საპროექტო პარამეტრები: საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) 6 925 კვ.მ. კ1 = 0,5 – 3 508 კვ.მ. კ2 = 5,8 – 40 320 კვ.მ. კ-3 = 0,1 – 692 კვ.მ. საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) 5 470 კვ.მ. კ1 = 0,5 - 2 998 კვ.მ. კ2 = 5,6 – 30 900 კვ.მ. კ-3 = 0,1 – 547 კვ.მ. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა გულისხმობს დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტაში არსებითად განსხვავებული ქალაქმშენებლობითი მახასიათებლების (განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის ზრდა, შენობა-ნაგებობების ფუნქციისა და განთავსების ცვლილება, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ცვლილება და სხვა) ცვლილებას, განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება თბილისის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობით. წარმოდგენილ შემთხვევაში, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩაროვა არ განხორციელებულა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე, სოხუმის, ევდოშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის დასაგეგმარებლად” ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 9 დეკემბრის N01/1863 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032102276-03 22.01.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01200871938-67 (N01201262013-67; N01201681505-67; N01202041369-67; N0120259651-67; N01203021220-67; N01203371048-67;



N01203562869-67; N0120360638-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად

**18.** ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდ დილომში, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ არსებულ N1/10/6/1/12 მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 13 დეკემბრის N20/754 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0321028133-03 28.01.2021 - N21.56.65)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდ დილომში, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.001.118; N01.10.06.001.121; N01.10.06.001.120; N01.10.06.001.119; N01.10.06.001.115; N01.10.06.001.116; N01.10.06.001.117; N01.10.06.001.111; N01.10.06.001.199; N01.10.06.001.114; N01.10.06.001.113); ტერიტორიის ფართობი 37 830 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ეხება შემდეგ საკადასტრო ერთეულებს: N01.10.06.001.117; N01.10.06.001.111; N01.10.06.001.116; N01.10.06.001.114; ფართობი: 9 083 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდ დილომში, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ არსებულ N1/10/6/1/12 მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2005 წლის 16 ივნისს გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ქალაქგეგმარებითი დავალება საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4)-ის ფუნქციით. ხოლო, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 13 დეკემბრის N20/754 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. აღნიშნულის შემდეგ, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 14 თებერვალს N01/125 და ქ. თბილისის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის 2008 წლის 24 სექტემბერს N01/1271 ბრძანებებით განხორციელდა კორექტირებული პროექტების შეთანხმება, რომლის მიხედვითაც განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვრა კ-1=0.3-ით, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2=2.8-ით. ქ. თბილისის მერიის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 13 ივნისს N01/1361 და 2011 წლის 23 აგვისტოს N01/2461 ბრძანებებით კვლავ იქნა შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტები. რის შემდგომაც, „ქ. თბილისში, დიდ დილომში, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ, მრავალფუნქციური

საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 22 მარტის N663 განკარგულებით შეთანხმდა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომელიც მოიცავს 14 ბლოკისგან შემდგარ 9 სართულიან საცხოვრებელ კომპლექსს, სადაც ასევე გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ფუნქციები. ტერიტორიის საერთო ფართობი: 37 830.0 კვ.მ საშუალო კ-1 მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის: კ-1=0,3 საანგარიშო ფართობი 12 878.8 კვ.მ. საშუალო კ-2 მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის: კ-1=2,7 საანგარიშო ფართობი 100 782.2 კვ.მ. იმ სექტორების/მიწის ნაკვეთების ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები, რომელსაც ეხება კორექტირება: კორპუსი N9-10-11 (01.10.06.001.111) სსზ-1 ფართობი 5 276 კვ.მ. კ1= 0.4 კ2 = 3.5 9 სართული კ3 = 0.1 კორპუსი N6 (01.10.06.001.117) სსზ-1 ფართობი 1 576 კვ.მ. კ1= 0.3 კ2 = 2.7 9 სართული კ3 = 0.1 კორპუსი N7 (01.10.06.001.116) სსზ-1 ფართობი 1 856 კვ.მ. კ1= 0.3 კ2 = 2.7 9 სართული კ3 = 0.1 კორპუსი N2 (01.10.06.001.114) სსზ-1 ფართობი 375 კვ.მ. კ1= 0.9 კ2 = 1.6 2 სართული კ3 = 0.1 „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59-ე დადგენილების 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის შეზღუდული გადაწყვეტილების მიღების ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე უარის შესახებ, ეს გადაწყვეტილება აღარ საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე განხილულ იქნა - ქ.თბილისში, დიდი დილომი, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, პეტრე იბერის N6ა, N6ბ (ს/კ N01.10.06.001.111, N01.10.06.001.116, N01.10.06.001.117) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „გეითვეი ჰოლდინგის” (ს/ნ 204531499) და შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფის” (ს/ ნ 202446246) მიმართ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება და დადებითი რეკომენდაცია გაუწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, რის შედეგადაც მიღებულ იქნა „ქ. თბილისში, დიდ დილომში, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, პეტრე იბერის N6ა, N6ბ (ს/კ N01.10.06.001.111, N01.10.06.001.116, N01.10.06.001.117) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „გეითვეი ჰოლდინგის” (ს/ნ 204531499) და შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფის” (ს/ნ 202446246) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის N20.1228.1526 განკარგულება და შესაბამისად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

„ქ.თბილისში, დიდი დილომი, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, პეტრე იბერის 6ა, 6ბ (ს/კ N01.10.06.001.111, N01.10.06.001.116, N01.10.06.001.117) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499) და შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 202446246) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 ოქტომბრის N308 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად: „ა) შეთანხმდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად; ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს: კორპუსი 7 – (კ-2) – 7.2; კორპ.6 – (კ-2) – 7.2; კორპ. 9-10 11 – (კ-2) – 10.0; დ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაანგარიშება მოხდეს „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად;“ აღნიშნული განკარგულების შესაბამისად წარმოდგენილია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომელიც გულისხმობს (საკადასტრო კოდები: N01.10.06.001.111; N01.10.06.001.116; N01.10.06.001.117) მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტისა და სართულიანობის მატებას. ერთიანდება N01.10.06.001.116; N01.10.06.001.117; N01.10.06.001.114 საკადასტრო ერთეულები, სადაც N6, N7 და 15 შენობის ნაცვლად განთავსდება ერთი 25 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ხოლო N01.10.06.001.111 მიწის ნაკვეთზე განთავსდება 28 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. საპროექტო ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: კორპუსი N9-10-11 (01.10.06.001.111) სსზ-1 ფართობი 5 276 კვ.მ. კ1= 0.5 – 2 484.73 კვ.მ. კ2 = 10.0 – 52 760 კვ.მ. 28 სართული კ3 = 0.2 – 1 074 კვ.მ. კორპუსი N6-7-15 (N01.10.06.001.116; N01.10.06.001.117; N01.10.06.001.114 გაერთიანებით) სსზ-1 ფართობი 3 807 კვ. მ. კ1= 0.4 – 1 212.72 კვ.მ. კ2 = 7.2 – 27 410.4 კვ.მ. 25 სართული კ3 = 0.2 – 1 135 კვ.მ. ყოვლივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ.თბილისში, დიდი დილომი, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ, პეტრე იბერის N6ა, N6ბ (ს/კ N01.10.06.001.111, N01.10.06.001.116, N01.10.06.001.117) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499) და შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 202446246) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 ოქტომბრის N308 განკარგულების საფუძველზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

19. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისი, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.15.238;

N72.16.15.587; N72.16.15.511) და მიმდებარედ უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0321028134-03 28.01.2021 - N21.55.66)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N72.16.15.238; N72.16.15.587; N72.16.15.511). ტერიტორიის დასავლეთით და აღმოსავლეთით შეთანხმებულია დაბალი განაშენიანების საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. საპროექტო ტერიტორია არის გაუნაშენიანებელი, რომლის რელიეფი ხასიათდება მცირე დახრილობით. მას სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება გრუნტის გზა, ხოლო დარჩენილ სამ მხარეს მეზობელი მიწის ნაკვეთები. ტერიტორია გრუნტის გზით უკავშირდება ი. კეჭაყმაძის ქუჩას, რომელიც თავის მხრივ გადის ლისის ტბის მიმდებარედ განთავსებულ კარკასზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). წარმოდგენილი პროექტის მიზანია ტერიტორია სამშენებლოდ განვითარდეს ქალაქგეგმარებითი მოთხოვნების შესაბამისად და შეიქმნას მოწესრიგებული, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით გამართული ინდივიდუალური საცხოვრებელი უბანი. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ტერიტორია განვითარდება საცხოვრებელი ფუნქციით, ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია ფუნქციური პარამეტრებისა ცვლილების გარეშე, რაც ნიშნავს რომ საპროექტოდ ტერიტორია ძირითადად ისევ რჩება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) (მისი დადგენილი კოეფიციენტებია: კ1=0.5; კ2=0.8; კ3=0.4;) და მიენიჭება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნა-გაერთიანება მოხდება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ფუნქციისათვის დადგენილი პარამეტრებით და მიწის ნაკვეთი დაიყოფა 7 საკადასტრო ერთეულად, აქედან 6 საკადასტრო ერთეული იქნება საცხოვრებელი ფუნქციის და ერთი სატრანსპორტო ზონისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი: 5020 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,5; განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2=0,8; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,4; არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 21 იანვრის N01210211702 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N72.16.15.238, N72.16.15.587 და N72.16.15.511 საკადასტრო ერთეულებზე, ასევე მიმდებარე

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 22 იანვრის N0121022411 წერილის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2020 წლის 2 დეკემბრის N61- 01203371433 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და მისი შემდგომი განვითარება განხორციელდეს წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისი, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.15.238; N72.16.15.587; N72.16.15.511) და მიმდებარედ უფლება დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულებით პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

20. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, სოფელი თხინვალა, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.994; N72.16.23.098; N72.16.23.099; N72.16.23.609; N72.16.23.622; N72.16.23.616) და მძიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0321028135-03 28.01.2021 - N21.54.67)


საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში. ნაკვეთის ფართობი: 10 072.0 კვ.მ. ტერიტორია ძირითადად გაუნაშენიანებელია, სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება ი. კეჭაყმაძის ქუჩიდან. ტერიტორიის რელიეფი მცირე დახრილობით ხასიათდება. მას ჩრდილოაღმოსავლეთით ესაზღვრება გრუნტის გზა, ხოლო დარჩენილ სამ მხარეს მეზობელი მიწის ნაკვეთები. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით

დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის ქალაქგეგმარებით არეალში (გარდა „A“ არეალისა), სადაც სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების, ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესაბამისად. აგრეთვე დასაშვებია მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა. საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია ტერიტორიის ინდივიდუალური საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება, არსებული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) შენარჩუნება და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება. ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია 16 საკადასტრო ერთეულის გამოყოფა, აქედან 15 საკადასტროზე დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) განვითარება შესაბამისი რეგლამენტით, ხოლო 1 საკადასტრო ერთეული განვითარდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფუნქციით. სავარაუდო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი: 10 072.0კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი:  $კ-1=0,5$ ; განაშენიანების ინტენსიობის საანგარიშო ფართობი დაახლოებით: 7 087კვ.მ,  $კ-2=0,8$ ; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი :  $კ-3=0,4$  არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 21 იანვრის N01210211704 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N72.16.23.994, N72.16.23.098, N72.16.23.099, N72.16.23.609, N72.16.23.622 და N72.16.23.616 დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 18 იანვრის N01210183251 წერილის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, სოფელითხინვალა,თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.994; N72.16.23.098; N72.16.23.099; N72.16.23.609; N72.16.23.622; N72.16.23.616) და მიმდებარე უფლება დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

*ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

სხდომის თავმჯდომარე



რევაზ სოხაძე